

№ 5 (1279)

მარტი

1968

საქსი

გამომცემის 45-ე წელი ფასი 20 კპვ.

ფოტოსტუკატი ნ. მალაზონიანი

ქრონული
ბიბლიოთეკა



იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? იყო, ერთი შეხებით, რი ქალი — მანიშა და ჰყავდა ქმარი — ბეჟანი.

გრძელი ნაწნავები ჰქონდა მანიშას და კაბა მუხლებს უფარავდა. მანიშა არც თემებს იღებავდა, არც ტუჩებს, არც წარბ-წამწამსა და არც ფრჩხილებს. მანიშას არ ეცვა ჩექმები.

ძალიან უყვარდა ქმარი მანიშას: გათენდებოდა, მის სახელს ფიცულობდა, ღამდებოდა და მასზე ლოცულობდა.

მეათე სართულზე ცხოვრობდნენ. როცა ქმარი შუადამისას შინ მავრალი ბრუნდებოდა და ლიფტი არ მუშაობდა, გადმოუშვებდა ხოლმე მანიშა თავის გრძელ ნაწნავს ფანჯრიდან და ისე ამოჰყავდა ბეჟანი.

ერთხელ ბეჟანმა მანიშას საჩუქარად უძვირფასესი ქურჭი მოუტანა. მანიშამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: აბა, რად გინდა მასეთი საჩუქარი? მე შარ-შანწინდელ ბუკლეს პალტოსაც კარგად ჩავიცვამ. შენ კი ახლავე წადი, ჩახე ის სოფდაგარი, ვისგანაც ეგ ქურჭი იყიდე. დაუბრუნე, ფული გამოართვი და ჯიბეში ჩაიდე სახარჯოდ, მერე ვინც კი შეგხვდება — მეგობარ-ამხანაგი, ნაცნობ-უცნობი, ყველასთან იქეიფე, დრო ატარე, გაახარე შენი ქია და ეს წუთისოფელი ისე მოჭამე, როგორც ვესიამოვნებო.

რა უნდა ექნა ბეჟანს? ვერ გააწბილა ცოლი, მართლაც წავიდა, ნახა ის სოფდაგარი, ვისგანაც ქურჭი იყიდა. ქურჭი დაუბრუნა, ფული უკან გამოართვა და ჯიბეში ჩაიღო სახარჯოდ. მერე ვინც კი შეხვდა — მეგობარ-ამხანაგი, ნაცნობ-უცნობი, ყველასთან ქეიფობდა, დროს ატარებდა, სანამ ფული არ გამოეღია. ამით ძალიან ბედნიერი იყო მანიშა.

ქ ა ტ ო ი ქ ა, ფ ქ ე ი ლ ი ა ქ ა.

აბესალომ და ეთერი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედისერთა ქალი, სახელად ეთერი. მშობლები ისე უყვარდა, რომ მათ დაუკითხავად არც დგებოდა, არც წვებოდა და არც წყალსა სვამდა.

უთხრეს ერთხელ ეთერს მშობლებმა: ახლა დროა, რომ გათხოვდე, ლამაზი ხარ, მაგრამ კიდევ უფრო გალამაზდები.

წავიდა ეთერი სილამაზის სალონში და „კოსმეტიკას“ უთხრა: — უნდა გავთხოვდე და კიდევ უფრო გამალამაზეო. „კოსმეტიკამ“ მიუგო: მე რომ გალამაზება შემეძლოს, საკუთარ თავს მივხედავდიო, ისე კი ერთ რჩევას მოგცემ: წადი, თეთრ ზღვაში ხელ-პირი დაიბანე და შავ ზღვაში თმები გადაყარე.

წავიდა ეთერი, თეთრ ზღვაში ხელ-პირი დაიბანა, შავ ზღვაში თმა გადაყარა და ნამეტანი მშვენიერი შეიქმნა, ისეთი, რომ მზესავით ანათებდა.

უკან რომ ბრუნდებოდა, ერთი ახალგაზრდა კაცი გაიკნო — სახელად აბესალომი, ისიც დედისერთა და საბედოს საქმენელად წამოსული.

— შენ ცოლი და მე ქმარიო, — უთხრა აბესალომმა. ეთერი და აბესალომი იმ დღესვე მივიდნენ მმანის ბიუროში და ხელი მოაწერეს.

„აბესალომ და ეთერი,

ღმერთმა შეგყარათ ერთფერი!“

— უთხრა მათ მმანის ბიუროს თანამშრომელმა.

სახლში რომ დაბრუნდნენ და ეთერმა თავისი დედამთილ-მამამთილი ნახა. ძალიან შეიყვარა, თავიდან ფეხებამდე დაკოცნა ორივე. დედამთილ-მამამთილსაც ძალიან შეუყვარდა რძალი.

აბესალომმა რომ თავისი სიდედრ-სიძამარი დაინახა, ისე შეუყვარდა, რომ კონაღამ გაგიჟდა. მანაც თავიდან ფეხებამდე დაკოცნა ორივე. სიდედრ-სიძამარმა, ცოტაც დარჩა და, კონაღამ არ შეჭამა ეს აბესალომი, ისე მოეწონათ და შეუყვარდათ იგი. ხოლო სიდედრ-სიძამარი და დედამთილ-მამამთილი ხომ სულ გადაირიენ ერთმანეთისათვის.

გაღაწყვიტეს, ქორწილი გადაეხადათ. საქორწილო დარბაზში ორი რბილი სკამი იდგა. აბესალომმა თქვა: აქ ჩემი სიდედრი და სიძამარი უნდა დაბრძანდნენო. არაო, თქვა ეთერმა, აქ ჩემი დედამთილ-მამამთილი უნდა დაბრძანდნენო.

— სანამ ცოცხალი ვარ, რითაც შემეძლება, ჩემს სიდედრ-სიძამარს უნდა ვცე პატივი, — თქვა გაბრაზებულმა აბესალომმა.

— სანამ სული მიდგას პირში, ჩემს დედამთილსა და მამამთილს უნდა გადავეცე, — თქვა ეთერმა.

წალაპარაკდნენ აბესალომი და ეთერი. ეთერი დედამთილსა და მამამთილს აძლევდა უპირატესობას, აბესალომი — სიდედრსა და სიძამარს. იმდენი იდავეს იმდენი, რომ გაყრამდე მივიდა საქმე.

„ორშაბათს შეყრილ მიჯნურნი,

სამშაბათს გავყარენით,

ვისაც რომ შეყრა გეწყინათ,

გავყრილვართ, გაიხარენით!“

თქვა სასამართლოზე აბესალომმა.

სიდედრ-სიძამარმა უთხრა აბესალომს: ჩვენ უშენოდ სიცოცხლე არ შეგვიძლიაო. არც მეო, — მიუგო აბესალომმა და საცხოვრებლად მათთან გადავიდა.

შენ რომ თავი დაგვენებო, რაღა ჩვენი სიცოცხლეო, შესჩივლა ეთერს დედამთილ-მამამთილმა.

უთქვენოდ დღეც ნუ გამოთენებიაო, მიუგო ეთერმა და საცხოვრებლად მათთან გადავიდა.

... და ცხოვრობდნენ ტკბილად და ბედნიერად. ეთერი — თავის დედამთილ-მამამთილთან, ხოლო აბესალომი — თავის სიდედრ-სიძამართან...

ზ ღ ა პ ა რ ი ყ ო რ, ზ ღ ა პ ა რ ი ყ ო რ...



საბჭოთა არმიისა და სახელმწიფო-საზღვაო ფლოვის 50 წლისთავი

შეაქმნა ლენინის ბენიამ საბჭოთა კავშირის იმედად, გაუძლო სასტიკ ბრძოლათა, მარტოხალთ დღეთა მკიფითა... კაცობრიობა ფაშიზმის მოსოგისაგან დაიხსნა და დროზე გამარჯვებისა დაადგა ქლეულ რაიხსტაგს. ოროცდაათ წელს ჯიემოგს გიირი საბჭოთა არმია, დგას უკვდავებით მოსილი, ასი ყური და თვალი აქვს. რფენით შეაყურებს მსოფლიო, სიცოცხლესავით შეაჩარის — მშვიდობის დარაჟს უფხიწლესს, ომების სანდო მენაგირიღს!

საჩუქრე

მეუღლე მეც მყავს ოჯახში,
ის ჩემით ხარობს, მე — იმით,
რვა მარტს ჩვენც ვხვდებით ყოველ წელს
პურ-მარილით და ზემით.

ამ თარიღს როგორ ავიცდენ,
ულმერთო ვარ თუ უხატო,
ქალს ერთი დღე აქვს კალენდრით,
როგორ არ გადავუხადო?!

ფულს ვაძლევ, ვგზავნი ბაზარში,
ან კი რად უნდა დამზარდეს,
თავის გემოზე ყიდულობს,
თავის ნებაზე ამზადებს.

ოქრო ხელი აქვს, სტუმარსაც
იმიტომ მოუხარია,
სულ საოჯახო წიგნით აქვს
ნასწავლი კულინარია.

ზეპირად იცის კროკეტი,
კლოკლფლეიმ-გუფთა-ალეპი,
მასთან გადიან პრაქტიკას
ჩვენი მეზობლის ქალები.

რვა მარტს ხომ ისე ტრიალებს,
როგორც რომ თევზი ფაცერში,
ჩასამუხლადად ვერ იცლის,
ან კი რა უნდა კაცებში?

სტუმრებზე გადაყოლილი,
სულ გაზქურასთან ტრიალებს
და ჩვენ კი ამ დროს სუფრაზე
ვცლით სარვამართ ფიალებს.

მის სადღვერძელოს ყანწით ვსვამთ,
ერთხელ კი არა, მრავალჯერ,
სამადლობელსაც მე ვიხდი,
ენას კბილს როგორ დავაჭერ?

დილამდე თავზე გვევლება,
როგორც შეშენის მზარეულს,
დილით კი სუფრას ალაგებს,
მარტის თვესავით არეულს.

ასეთ ცოლს პატივს ვინც არ სცემს,
ულმერთოა და უხატო;
ქალს ერთი დღე აქვს — რვა მარტი,
როგორ არ გადავუხადო?!

ვალერიან მამუკელაშვილი
გრიგოლ ჩიქვილაძე



— რა არის ეს, ქალის ტანსაცმელში რომ გამოწყობილხარ?
— ვერ ავუთავდი ყოველ რვა მარტს საჩუქრების ყიდვას და მგბი
გზა არ მქონდა.

ნახ. 3. ჭუმბურიძისა



— ახალგაზრდავ, 8 მარტს მაინც დაუთმო ქალს კაბილი!
— მაგათ რომ უყუროთ, გაბონო, მიწიერი არასდროს არ გამოვლევათ.

ბაქსის მძღოლმა ალიოშამ უეცრად გაითქვა სახელი: მის მანქანაში მოხდოდა მო-
თხვეწილი ქაღალდის იმპრეტული წინდენ-
და რაჩუნდა და ალიოშას ნაპირი დაუყოფ-
ნებლად მიიტანა მილიციამ.

— შენ რაღაცს ეშვებო, ბიჭო, ახა, ქაღალ-
და ძალია ავტო, წინდები შიგ მანქანაში გახე-
და? — დავებებულან მილიციამ, მაგრამ რო-
ცა დარწმუნებულან, წინდები უხმარი იყო,
მძღოლი შეუტიათ და სასრატოდ უცნობი-
ბაით ტაქსების კანტორისთვის ეს ამბავი კან-
ცონამ კი რედაქციებში აფრინა წერალები.

მე დაბავლეს მწუთიანი რადიოავადცემმა
მომწერაღებინა ალიოშაზე. ხანტაროლი ცხს
დაწერო, სამსახურში ახალმოდებული ვიყავი და
ვერე ერთი სტრიქონი არ მქონდა გადაცემუ-
ლი ერთერი. მივდიოდი და თან გადაცემის
გეგმებს ვაწყობო.

„პირველი კითხვა: მოფრობაზე ბავშვობი-
დანვე ოცნებობდი თუ ტაქსების გამოსვლის
მერე შეგვიფარდათ ეს პროფესია? რა გამოი-
რავებდა, როცა ძვირფასი წინდები ცოლ-
შვილის პატრონმა მილიციას ჩააბარებო? რა
აზრისა ხართ თბილისის „ღინამაში“ წრევან-
დელ თამაშზე?“

ქანტორის ტროლან ტაქსი გამოდიოდა, გავა-
ჩერე და ვკითხე, ალიოშას სად ვნახავ-მეთო.

— რომელი ალიოშა, სახეინი რომა?
— არა, მოფერი.

— რომელი ავტო ერთი თვეა ზაგვარად
მოუტრე?
— მერე... — ხარბამა ოქროს სათხვე დი-
ხედა და თქვა: — მამაბერი, მაგრამ ზაგვანდ-
ხა, ღირებურობან ვარ დაბარებულნი, თქვენ
კარგად იცით ახალ თანამდებობას რამდენი
დავიღარამა მოსდევს.

— რა თანამდებობას? — კინალა ავტორი
მე.

— რა და, მზა პროდუქციის საწყობი ჩა-
ბარეს, ჩემზე ავტო სააქტორს უფროსი ვილ-
საპარედა, სურათი თუ ვინდა, ვინმე გამოწვა-
ნიდა გამოუტანა.

— თალიკომ წამდელი რეკორდი დაამკა-
რა, ზიბიყო, — მითხრა თავმჯობრებ-
— ალბათ, პლანტაციების ოქებმა, როგორ-
მე უნდა მანახოთ!

— პლანტაციები რა უნდა, ავტო ახლა წა-
ვიდა საქონლის მოსაღებად.
— რა საქონლის? — გამოვირდა მე.
— კორესპონდენტი კაცო ხარ და იგი არ
იცი, რომე გამკრე აღმანებეს აწინაურებენ?
სამრეწველო მაღაზიის გამკედ დავნიშენი, უ-
მაგას კი არ მოველოდი შენგან... — მიპასუხე
ჩემზე უფრო გაკვირებულმა თავმჯობრებ-
სამსახურში თარსი შემაჩქებე და მეგონი
მოსხსნე ელ დამიპარეს. კაბო, გამოსადე-
ვად ეთობლ კიდევ გამწვანეს მივლინებ-
ში. ამწერდა ერთი ქარხნის მოწინავე ხარატზე
ჩანახატი უნდა გამეცეთებინა. თურმე ის და-
ლოცვილი 150-200 პროცენტით ასრულბეს
მეგვრებს.

ვიპოვე, თავაწუული იდგა ჩარბთან და
ახალგაზრდა მუშას რაღაცას მოუთხოვდა. სი-
ხარულისაგან კინალა გადავებევი ხარატს.
— მე შეგვიკითხებით, თქვენ ე კი მიახს-
ნოთ! — ვუთხნებნი მოკრძალებით.
— კი ბატონო, მაგრამ ვინ ბრძანდებთ
თქვენ?

მწმომბა ვუჩვენე და პირდაპირ საქმეზე გა-
დავდიე:

- დიდი ხანია ქარხანაში მუშობო?
- ზაგვობიდანვე მოვიღვდა ხარატის შე-
ტად საამაყო და ვუყავტური პროფესია...
- მერე?
- მერე... — ხარბამა ოქროს სათხვე დი-
ხედა და თქვა: — მამაბერი, მაგრამ ზაგვანდ-
ხა, ღირებურობან ვარ დაბარებულნი, თქვენ
კარგად იცით ახალ თანამდებობას რამდენი
დავიღარამა მოსდევს.
- რა თანამდებობას? — კინალა ავტორი
მე.
- რა და, მზა პროდუქციის საწყობი ჩა-
ბარეს, ჩემზე ავტო სააქტორს უფროსი ვილ-
საპარედა, სურათი თუ ვინდა, ვინმე გამოწვა-
ნიდა გამოუტანა.

ნიმერი ბტბმმ



ქვეყანამ გამოიხილა,
შენ რისთვის დატრე ურგები?
ტანი უნდაოქსამს სხვის ცოლ-შვილს
ყოქვეწინ-ყარეუბის ქურტები.

ამდენი თუ ვერ შესძელი,
ბარეი ოდეს და გამოიღო,
რისთვის დაჩაგრო ცოლ-შვილი,
მეთქილი ხომ არ გავსე ნაშთენი?

კოლბა ბუღალტრე ავიცილო,
პირი ვეცხია ასუფილი,
ვერც ხობინი ვამჩინებინი,
ვერც პანაშვილზე წასულან.

დაკარგე ავტორიტეტი,
მე დაარბა უფრო გაგლახა,
აქამდ „იჩილ გიბთბდენი,
ახლა იმანოც“... არა ხარ!

მეილე, გაიპოვო, გაპოვი,
ჩამბოლი, როგორც მუცელი,
აიღე, ვეგანს მიიღვი,
შენ გაიპოე უტყობოდ.

დავხსვივანი ყავივი,
ატუღვამა ვაწაწაწა,
რაც ხორცი შეგვარა ნეწენებზე,
მასაც ერთ წაშენი ვაგვლიან.

სამაგიროდ იტყვიან:
„ვიმე, ვიცი, ვახსნი, ვიცი,
მაგისი ტყვი, ვახსნი, ვიცი,
ცოლ-შვილს ქურტებდა ავიცა“.

ზაზი კილასონია

მნტა, ვინ მოიგონა ეს რვა მარტი? ანდა, რის-
თვის მოიგონა?! ვითომ რაო? ქალები დაჩაგრ-
ეთეს არიან და ამ ერთ დღეს მათზე ვეკი პაკი-
ვით? მერედა, ვინ მოგასწავლა, რომ ქალები და-
ჩაგრებულები არიან, ანდა ოდესმე უკოლბან?

მედილი სულ თავიდან დაწყეთო: რაც აღაშ-
ნებამ საჩუქები დატრეოდა... ჯერ ვითომთ ვეა სა-
დამ განგდა, აბა, ეს ვინ არ იყის? აო, ადვილი საო-
მეო, ჩემმა მზემე... თბერამა აღაშნე ნენი
ამოგველა და ვეა ასე შექმნათ. მაგრამ რითი ათი-
ვეტო მამაშეგვრება ნენი დამა, ამას აღარ
ყითხებო? სასურათო მივინა მაშინ არ იყო,
ლენტილი მა არ იყო, ქირურგიული ხელთა-
მანები და ძვირი მარ ძაფთა, ისე არიანდ ითი-
ბოდა, რომ ტრეოლბაზე ნაკერი მინაც დაელო იმ
უღმერთი ღმერთს. ანესტეზიაზე ლაპარაკი ხომ
სულ შეღებია, ვინდა ადგილობრივსა და ვინდა
ნიმორტულზე, უკარავდ, საერთო ანესტეზიაზე.
ღიას, როცა ღმერთისგან უღმერთად ნაყოფნმა
აღამმა სული მოითოვდა და თვლილ გააბინა, ისე
სასურათოდ დაბუტა. მერე გაბედა და ცალი თვა-
ლიც ააფახავა. გები დაეცემა მეუღლელები იყო.
აღამს თავზე სულთამსუთავითი წაშთოვ-
შიდა ვიღაც არსება. თმამბურტმინი, თვალ-
წარბა-წაშამბ-ტურ შეუბინილი, კბილებ-ფრჩხილებ
ღელვით იდგა ეს არსება მდილიშობილი და
ვევლდა ამ სიციფოსთან ერთად, თვალბეს ურტებელ
პარტაბლებს.

ღმერთო, ვადამარინე ამ აღქვამს! —
პირფარეი გადააწერა ადამამ.

— აღქვამ და ჩრბინი თავი გაბია! — იტყ-
ვამ და ასე დარეყო მათი სიმამტბილობით ახლავ-
ე ცნობრებო.

აღარ ვაგებრებულ სიტყვას ამ საყოველთაოდ
ცნობილ ფაქტზე, თუ როგორ აჭამა ვეამ აღამს
ვაშლი. მშობლო იმას დავებენ, რომ ვეამ აღამს
მარტო ვაშლი კი არ აჭამა, როგორც ეს უზოგირთს
სტონია, არამედ ბეგერი სხვა რამეც...

შოდა, ახლა ვკვირებო: ვინ ყოფილა თავიდან
დაჩაგრული — ქალი თუ კაცი? რადგან ვკვირ-
ებები, სახუსილ შენთვის მომინდია, ძვირფასო
ჭკოთხელო, ხოლო მე ამით ვამოაზრებ საყთის
*ოგლასაკუბობრი ასპექტში განმზღვას.

ახლა ჩვენს ტურფა საქართველოს დავეურ-
თეს: ოდეს ყოფილა, რომ დედათა და
მამათა პატრი ერთად ვეჭამოთ ო, ხომ
გასსოფი, რამდენი ხნის წინდა ვამას აიკო
ცურტაკველი? დიას, ათას სუთასი ქალები წინაით ქა-
ლები ოსდენენ და აჩრბინა ქვემოთხეინ-
რონი კაცის სატანებაც არ იყო მათს ტხსნენ... მას
შეუღდე ვაიდა უსესად შეუღლა თუწაწაწა
ახლა რუსთაბილი დაიწყო თუწაწაწა
სტოკიებმა — ლეკვი ო ლომისა სწრაბია, ძუ
ი ყო ს თუნდა მ ვა დია ო, რა გამოდგა მერე?
და მისი ჯინაზე სწრეულ ქალი დიდეს მე-
ფედ. მერე როდინ? ძლიერ მოგასწავლო ქირე-
ვებმა ერთი ხერიანი საბელშოვის შექმნა და
მამინაც ქალი ვაგაფეთითო! — გაბარბდა რუს-
თავილი და შეღდა ბერად. ვისაც არ გვერთი, წა-
დილი და იერულომინი ნახეთ მისი სურათი, ხე-
ლაპყობრები რომ ლოცულობას: ღმერთო, ქალებ-
ისს ჩაგვრისგან ოხსენი კაცებო.

შოდა, მე ისევე ვკვირებო, კვილო მეტოხელო,
ვინ ყოფილა დაჩაგრული საქართველოში უწინ
— ქალი თუ კაცი?

ახლა დღევანდელზე მოგასწავლო: ადარაფრეს
ვინცევი იმსზე, რომ უკრინა „საქართველოს ქა-
ლი“ უსარმზარი ტრირავით იმეტდებმა, მაშინ, რო-
ცა კაცებს ერთი კვილის გაწუფიო ეს არ ვაგაწა-
ნია არც იმანზე ვაგაფრებულ სიტყვას, რომ კაცე-
ვი დღესაც უსესად ისე, როგორც იაკო ცურტა-
კველის ღრს, მარტოდ-მარტონი ვესტდართ რეს-
ტორწენები და საყოველთაოდ ვილინენ ხმელ ბურს,
მაშინ, როცა ქალები მშობლად და მშობლად იუა-
ხნი გამომტვარ ნაწუქებს მითომმევე გვეჩო-
ვლად ამის შეუღდე, მერინი, შეღებთა კითხვა —
ვინ ვის ჩაგვრდა და ამდ დედად დაწყებულ და
ვინ ვის ჩაგვრდა დღეს? ამბობო, მოგაგაფიცი
რომ არ გაგებრებულას ასეთი უმოწყალო ჩაგვრა
საბარალო მამაკაცებმა, უმორილუსად ვინოვ
უკვილოშობილეს ქალებს, კაცებს მთელი დღე თუ
არა, ერთი პატარა სადამო მანინ დავეუწუებო და
ერთად მოგოლბინითო.


ზურბა რატონინ



ნ. ა. მ. შიდაბაგვაიანი



ნ. ა. მ. შიდაბაგვაიანი



ყველა კრული გაეცანება

საქართველო
ბიბლიოთეკა

გადამწვარი ნათურები

იღგა კაცი ბაზარში და გააყვიროდა: „აბა, ნათურები! აქეთ ნათურები! ორასოციანი, ასოცდაშვიდიანი... რამდენვოლტიანიც ვნებავთ! აბა, კარგად გადამწვარი ნათურები, იაფად!“


— რაო, რას ჰყიდის ეს კაცი?



— გადამწვარ ნათურებს!
— ალბათ, შემოიღია საცოდავი.

— შემოიღო კი არა, გენიოსია, ვიღაცაა. აგერ, ერთი საათია, ვუთვალთვალე და უკვე ას ცალზე მეტი გაყიდა.

— კაცო, ვის რად უნდა გადამწვარი ნათურები?
— აბა, მეც ეგ მაოცებს! მოუხმობს მყიდველებს, რაღაცას ჩასჩურჩულებს ყურში, ისინიც სასწრაფოდ ყიდულობენ და გახარებული გარბიან.



— რას ეუბნება ასეთს, მივიდე ერთი!..

მივიდა. უჩურჩულა გამყიდველმა. სასწრაფოდ იყიდა გადამწვარი ნათურები და გავარდა გახარებული.

აბა, გამოიცან, მკითხველო: რას ერჩურჩულებოდა მუშტრებს მთხეჩებელი გამყიდველი?

პასუხი: „გაქანდი ახლა სამსახურში, მოხსენი სალი ნათურები და ესენი დაუყენე!“


მომავალი ნათურები

ატყდა ჩხუბი — დაუნდობელი და დაუზოგავი, სას-

ტიკი და შემზარავი; ისმოდა ლანძღვა-გინება — ენით გამოუტყმელი და ყურსასარი-დებელი. ერთმანეთს შეეტაკნენ ძველი გადამტერებული მუზობლები — პირველ სართულზე მცხოვრები დიდგულა და მეორე სართულზე მობინადრე ვაჟკაცა.

აივნები თრთოდნენ და საწვიმარი მილები იდრიკებოდნენ მათი ბრძოლის შემყურენი.

იძალა დიდგულამ, დაჯაბნა ვაჟკაცა. გაცოფდა, გახელდა, გაიდიოტდა ვაჟკაცა, გაუსლტა გამშველებლებს, ავარდა კიბეზე, შეიჭრა თავის ოთახში, წამსვე გამოვარდა გაშმაგებული და ეზოში გამარჯვებულის სახით მდგომ დიდგულას ესროლა... კალენდარი, თან გულისგამგმირავი სიტყვებიც დააყოლა.



ამის გამგონე დიდგულა აცახცახდა, მიტკლის ფერი დაედო და ტირილი დაიწყო, მაპატიეო.

აბა, გამოიცან, მკითხველო: ასეთი რა უთხრა ვაჟკაცამ დიდგულას?

პასუხი: „აჰა, კალენდარი და ამოირჩიე, რომელ დღეს გამოგასალმო წუთისოფელს!..“

ძვირფასი ვაჭები

მაღაზია იყო ლამაზი და გამჭვირვალე. ლურჯ აბრაზე თეთრი ასოებით ეწერა: „ჭურჭლეულობის მაღაზია“.

თაროებზე ელაგა მაღალყელა და დიდმუცელა ჭიქები, ბრტყელტუჩა და ბეჭებფართო სურები, მოჭიქული დოქები. წელში გაწყვეტილი საყვავილეები. აქვე ეწყო პირდია ვაჭები: უბრალო — მინისა, ძვირფასი — ბროლისა.

შემოვიდა მყიდველი, აათ-

გალიერ-ჩაათვალერა ასორტიმენტი. რადგან საქონელს ფასი არ ედო, გამყიდველ-სექციონერს შეკბედა, რა ღირს ეს ვაჭათ?

გამყიდველ-სექციონერმა თანხა დაუსახელა.

მწარედ ჩაეცინა მყიდველს და რაღაც უთხრა გამყიდველს, ხოლო ეს უკანასკნელი გაწითლდა, გაყვიტლდა და თან ბევრიც იცინა.

აბა, გამოიცან, მკითხველო: რა უთხრა მყიდველმა გამყიდველ-სექციონერს?

პასუხი: „შე დალოცვილო, ეგ ვაჭა კაკლის მურაბით რომ აავსო, მაინც არ ეღირება მაგდენი!“

— შეუძლოდ კი არა. პახმულიაზე. საერთოდ, ცოცხალ რომაა, არ გიკვირს? რაც მაგიღვინოს სვამს, მოზვერს წააქცევს, მოზვერს კი არა, — კამეჩს. მაგას, აბა, რა მოუვა!..



— არც ისე ხშირად სვამს...
— შენ მასწავლი მე? სულ ერთად არ ვართ?!

— მერე შენ რატომ არ გწყენს, ტატუ?

— მე აღმასივით ვარ. მე თუ მიყურა, კაი დახლი დაუდგება. ისე, ბავშვი კი წამოგზრდიათ; რამდენი წლის ხარ, ბიძია, შენ?



— ხუთის, — შესციცინა ბავშვმა ბიძიას.

— ხოო... — დაფიქრდა ტატუ და მერე ისეთი სიტყვა უთხრა ბავშვს, რომ დედამისს ენა ჩაუვარდა და ადგილზე გაქვავდა, ბავშვმა კი ისეთი ღრიალი მორთო, გამგლეუები გაჩერდნენ გაკვირვებულები — ამ შესანიშნავ დღეს, ნეტა, რა ატირებს პატარასო?

აბა, გამოიცან, მკითხველო: რა უთხრა ასეთი ტატუმ დედაშვილს?

პასუხი: „ზუსტად შენი ხნის ცუცავი, ბიძია, მამა რომ გარდავიდა...“

— სეირნობთ, პა!..
— ჰო, გამოვედით სუფთა პაერზე...
— რა გიჭირთ, თქვენია ქვეყანა!..
— ?!...
— სადაა შენი მეგობრე?
— სახლშია, ცოტა შეუძლოდ იყო და...

ღმერთი

(არაკი)

ღმერთმა,

ცალკე რომ ზის გარიყული,
კინაღამ ამაგლიჯა ცალი ყური:
„უფალს კრძალვით უხდა უყუროო,
თორემ დამირჩები უყუროო,
ჩემი მაღლიერი იყავით,
წადი, შემომწირე თიკანო...“
უფალს თვალი თვალი გაუყარე,
უფალს თავი მდაბლად დაუკარი,
სჯობდა, ცალი ყური გამეწირა,
(ღმერთო დიდებულო, გამეცინა)
უფალს აეჭავა ხელისგული
და მე წამივიდა ფერი-ფური,
მერე შევიგინა ბრახინანად,
ლანძღვის ოსტატობას მაზიარა.
„ჩემთან როგორ ბედავ, იცინო,
წადი, დამიკალი წიწილით,
თუ გსურს, უფალმაო შეგიწყალოს,
უნდა ხელისგულზე შემიწვაო,
აპა, ესეც მინდა, ისიცაო,
მე შენ დაგავიწყებ სიცილსაო“.
უფალს თვალი თვალი გაუყარე,
უფალს თავი მდაბლად დაუკარი,
მერე მაინც ვკადრე განზრახული:
„ღმერთო, მიბოძე-თქო სამსახური!“
ღმერთმა მიპასუხა მისი ნებით:
„ღმერთი არ ვიყო, ვიცინებდი“.

მერე დაუმატა გაცხარებით:
„მე, აქ მჭირდებაო მასხარები!
აბა, თუ არა ხარ დაბდურიო,
მიდი, დაუკარი ფანდურიო“.
მსურდა, ყველაფერი დამემტვრია,
მაგრამ რაღა მექნა? ამეტირა...
უფალს ხელი ჰქონდა გაწაფული
და მე ვკანკალებდი დაზაფრული..
ღმერთმა შემომყვირა: „ვირისთავო,
ჩემთან როგორ ბედავ ტირილსაო,
წადი, შენ ყოფილხარ ციგანო,
ჩქარა დამიკალი თიკანო,
უფალს კრძალვით უნდა უყუროო,
თორემ ქე დარჩები უყუროო“.
უცებ სხვა ფიქრებმა გამიტაცეს,
ღმერთმა მუშტი დაჭკრა მაგიდაზე,
ისევ გამიჯაურდა, გამიბრაზდა,
რაიც ყურთა გლეჯად დამიფასდა.
ისევ აეჭავა ხელისგული
და კვლავ წამივიდა ფერი-ფური...
„აბა, თუ არა ხარ დაბდურიო,
მიდი, დაუკარი ფანდურიო“.
ვიდექ, ორთავ ყური მიწიოდა,
ღმერთი ღმერთი იყო... იცინოდა.

ნოდარ ნარსია

მხიარული მოთხრობები

სანიშნო ქმარი


ბატონი მორელი მაღალი მორალის ნიმუშია, ყოველმხრივი მიზანების ღირსი. თუმცა პირდაპირ უნდა ითქვას, ძნელად თუ მოიძებნება ჩვენს დროში ისეთი ადამიანი. მას რომ კონკურენცია გაუწიოს.
კინოში, თეატრის პრემიერაზე, მეჯლისსა თუ ბანკეტებზე მუდამ ცოლთან ერთად დადის. რესტორანშიც მხოლოდ ცოლითურთ გამოჩნდება სოლმე. წლების მანძილზე მორელი არ იცვლება, ეცვლებიან მხოლოდ... ცოლები.

თავაზიანი მამაკაცი

ქალი ავტობუსში ავიდა თუ არა, სკამიდან მამაკაცი წამოდგა.
— გმადლობთ! — უთხრა ქალმა, ხელი მოჰკიდა და დასვა.
შემდეგ გაჩერებაზე კაცი ისევ წამოიწია, მაგრამ ქალმა არ დაანება ადგომა.
მესამე გაჩერებაზე წამომდგარ მამაკაცს ქალმა კვლავ დასმა მოუნდომა, ახლა კი მამაკაცმა უკმაყოფილოდ წაიბურღლუნა:
— მომიტევეთ, მაგრამ მე უკვე ორი გაჩერებით გავცდი, ჩემს კვარტალს!
გერმანულიდან თარგმნა შ. აშირანაშვილი




უსტიკვოდ.



ნ.ბ. ბ. ფირცხალაბანი

1-68



ტელეფონი-ავტომატი.



ქართული
საბჭოთაო

მთავარი
რედაქტორი
ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. გოლჭვაძე
(პ/მგ. მღვივანი).
ს. კლდიაშვილი,
ნ. მაღალაშვილი,
ბ. ნიშნიანიძე,
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჯელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის კროსკამპი № 42.

ნიანგი

ბელ. 99-76-69, 3-10-78.

Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги». Саб. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 21/11 1968 წ. ჭალ. ზომა 70x108¹/₈ 1 ნაბ. ფურც. 1,4. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 1. პირობით ფორმათა რაოდ. 2. საბ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომპინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შებ. № 695. შუ 01929. ტირაჟი 83.700.



საქართველოს
ფოსტის
სამსახური

1968

ნ.ბ. ბ. ფირცხალავანი



ფოსტა



საბჭო.

13-68

138 68
11/III